პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №_ _

2024 წლის _ _ თებერვალი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის „გ.ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში მიღებულ იქნეს ცნობის სახით (თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
აპარატის უფროსი გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
განყოფილების უფროსი მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე არჩილ ღიბრაძე

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482405192**
თარიღი: **20/02/2024**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქალაქი წყალტუბო, რუსთაველის ქ. N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის

გენადი ბალანჩივაძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ

2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად

განხორციელებული შესყიდვების შესახებ

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და წარდგენილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის „გ.ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წელს განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმა შემუშავდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ მე-4 მუხლისა და 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანებით დამტკიცებული „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესი“-ს შესაბამისად.

სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შედგენისას, ერთიანი სისტემატიზებული ფორმით შეგროვდა და გაანალიზდა ინფორმაცია დაგეგმილი და წარმოებული სახელმწიფო შესყიდვების, არსებული და შესაძლო შესყიდვის ობიექტების პოტენციური მომწოდებლებისა და სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ორგანიზაციების, მათ მიერ საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების მოწოდებაზე გაკეთებული შემოთავაზებების, აგრეთვე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა დამტკიცდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 18 ნოემბრის №ბ48.448223226 ბრძანებით.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების შესაბამისად, 2023 წლის დასაწყისისათვის შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული იქნა 8 095 675.44 ლარის საერთო (ჯამური) ღირებულების სამუშაოს, საქონლისა და მომსახურების შესყიდვების განხორციელება.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ მე-4 მუხლის მე-3[1] პუნქტის საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში 2023 წლის განმავლობაში 56-ჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები, რის შედეგად, 2023 წლის დასაწყისისათვის გეგმით გათვალისწინებული შესყიდვების საერთო (ჯამური) ღირებულება გაიზარდა და 2023 წლის საბიუჯეტო წლის დასრულებისათვის საერთო (ჯამური) ღირებულებით შეადგინა - 22 485 842.24 ლარი.

ა) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ) 2023 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტები.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2475 განკარგულებით, დამტკიცებული იქნა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ) 2023 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტები (საწყის ეტაპზე - 12 პროექტი). საქართველოს მთავრობის 2023 წლის 11 აგვისტოს №1456 განკარგულებით, 2023 წლის 22 აგვისტოს №1530 განკარგულებით და 2023 წლის 25 დეკემბრის №2334 განკარგულებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2475 განკარგულებაში, რითაც დამტკიცებული იქნა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ) 2023 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დამატებით განსახორციელებელი პროექტები (სულ - 18 პროექტი, მათ შორის 6 მრავალწლიანი პროექტი, რომლებიც დაიწყო 2023 წელს და დასრულდება საკასოთი 2024 წელს), ჯამური ღირებულებით 2023 წელს გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში - **8 413 651.00** ლარი, სადაც რ.გ.პ.ფ. - დან გამოყოფილმა თანხამ შეადგინა - **7 793 074.00** ლარი, ხოლო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანამონაწილეობის თანხამ შეადგინა - **620 577.00** ლარი.

საბოლოოდ, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ) საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებების შესაბამისად, 2023 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი იქნა შემდეგი პროექტები:

№	2023 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება	შემსრულებელი ორგანიზაცია (მიმწოდებელი)	2023 წლის სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი)	პროექტის მიმდინარეობის აღწერა
1	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფურჩხეთში რიდვას უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	შპს „ცეკური“	300 000,00	დასრულებულია საკასოთი
2	სოფელ ბანოჯაში, მე-15 და მე-18 ქუჩებზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	შპს „ცეკური“	125 932,04	დასრულებულია საკასოთი
3	სოფელ ხომულისა და ქვილიშორის დამაკავშირებელი გზის (შეერთება) რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	შპს „ცეკური“	632 000,00	დასრულებულია საკასოთი
4	ქალაქ წყალტუბოში ავალიანისა და რუსთაველის ქუჩების კვეთაზე, თამარ მეფისა და აღმაშენებლის ქუჩების კვეთაზე არსებული სანიაღვრე სისტემებისა და ასფალტის საფარის რეაბილიტაცია.	შპს „ცეკური“	1 899 013,00	დასრულებულია საკასოთი

5	სოფელ გეგუთში ბოდოკიების, ღალღას და წივწივაძეების უბნებში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	შპს „ცეკური“	731 067,96	დასრულებულია საკასოთი
6	სოფელ გვიშტიბში მე-8 ჩიხში სავალის ნაწილის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	შპს „ცეკური“	68 000,00	დასრულებულია საკასოთი
7	სოფელ ცხუნკურში გაღმა ჩუნეში მეშვიდე ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (ბეტონის საფარით).	შპს „ცეკური“	228 487,55	დასრულებულია საკასოთი
8	სოფელ ტყაჩირში ჯანელიძეების, სინაურიძეების უბნებში და სკოლასთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	შპს „ცეკური“	255 000,00	დასრულებულია საკასოთი
9	სოფელ ყუმისთავში მესამე და მეთექვსმეტე ქუჩების საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (ბეტონის საფარით).	შპს „ცეკური“	294 628,48	დასრულებულია საკასოთი
10	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში გურეშების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	შპს „ცეკური“	287 000,00	დასრულებულია საკასოთი
11	სოფელ ჟონეთში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	შპს „ცეკური“	395 000,00	დასრულებულია საკასოთი
12	სოფელ ცხუნკურში მესამე და მეთექვსმეტე ქუჩების საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (ბეტონის საფარით).	შპს „ცეკური“	295 883.97	დასრულებულია საკასოთი
13	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიმასტაროში სასმელი წყლის მაგისტრალისა და ქსელის მოწყობის სამუშაოები	შპს „ლომსია 2023“	999 942,82	პროექტი არის მრავალწლიანი. დაიწყო - 2023 წელს, დასრულდება საკასოთი - 2024 წელს.
14	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიონში ბრეგოულის და სულაქვაძეების უბნებში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	შპს „ცეკური“	478 155,00	დაიწყო - 2023 წელს, დასრულებულია საკასოთი - 2024 წელს.
15	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მე-12, მე-13, მე-16, 20-ე ქუჩებზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	შპს „ცეკური“	1 865 067,00	პროექტი არის მრავალწლიანი. დაიწყო - 2023 წელს, დასრულდება საკასოთი - 2024 წელს.
16	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანი-ოფშკვითის დამაკავშირებელი გზის	შპს „ცეკური“	1 470 000,00	პროექტი არის მრავალწლიანი. დაიწყო - 2023 წელს, დასრულდება

	რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.			საკასოთი - 2024 წელს.
17	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევში №49, 50, 53, 55, 59-ე ქუჩებზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	შპს „ცეკური“	616 279,99	დაიწყო - 2023 წელს, დასრულებულია საკასოთი - 2024 წელს.
18	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატრიკეთში ბაზმანების, ლელაძეების და ეკლესიასთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	შპს „ცეკური“	518 876,00	პროექტი არის მრავალწლიანი. დაიწყო - 2023 წელს, დასრულდება საკასოთი - 2024 წელს.
	სულ		**11460333,81**	

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (რგპფ) დაფინანსებით პროექტების საერთო (ჯამური) ღირებულებად 2023-2024 წლების განკარგულებებით განისაზღვრა **11 526 996.00** ლარი, მათ შორის: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან – **10 750 752.00** ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით თანადაფინანსება (შევსება) – **776 244.00** ლარი. ზემოთ ჩამოთვლილი თვრამეტი პროექტის ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა **11 460 333.81** ლარი, რაც შესაბამისად გაიწერა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023-2024 წლების ბიუჯეტსა და შესყიდვების გეგმაში.

<u>ბ) „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 2023 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტები.</u>

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2476 განკარგულებით დამტკიცებული იქნა 2023 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი შემდეგი პროექტები (მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი ჯამური თანხა - **704 000.00** ლარი, ხოლო ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება - **703 726.52** ლარი):

№	სოფელი	პროექტის დასახელება	საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა (ლარი)	შემსრულებელი ორგანიზაცია (შპს, ინდ.მეწარმე და სხვ.)	სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი)
1	გეგუთი	კულტურის სახლის რეაბილიტაცია	4 850,00	ი/მ "თამარი მამარდაშვილი №53001054292	**4 850,00**
2	გეგუთი	მემორიალის რეაბილიტაცია	14 550,00	ი/მ "თამარი მამარდაშვილი №53001054292	**14 549,99**
3	თერნალი	ახალი სასაფლაოს ღობის მოწყობა	15 520,00	ი/მ „ბეჟანი ყურაშვილი“ №53001009993	**15 520,00**
4	პირველი წყალტუბო	სანიაღვრე არხების მოწყობა	11 640,00	შპს "სანი" №221274546	**11 639.99**
		სოფლის ცენტრში		ი/მ "თამარი	

5	ბანოჯა	არსებული მემორიალის რეაბილიტაცია	4 850,00	მამარდაშვილი №53001054292	**4 849.99**
6	დღნორისა	სოფლის შიდა საუბნო გზების მოხვნა-მოწესრიგება ინერტული მასალით	11 640,00	შპს „ასა მოტორსი“ №412743731	**11 640,00**
7	მაღლაკი	კულტურის სახლის რეაბილიტაცია	19 400,00	შპს „მიკო ბილდინგი“ №412746710	**19 400,00**
8	მიწაწითელი	წმინდა გიორგის სახელობის სალოცავის შემოღობვა	11 640,00	ი/მ „ბეჟანი ყურაშვილი“ №53001009993	**11 639,08**
9	ბენთქოულა	სოფლის შიდა საუბნო გზების მოხვნა-მოწესრიგება ინერტული მასალით	9 700,00	შპს „ასა მოტორსი“ №412743731	**9 699.99**
10	დერჩი	სოფლის შიდა საუბნო გზების მოხვნა-მოწესრიგება ინერტული მასალით	9 700,00	შპს „ასა მოტორსი“ №412743731	**9 700,00**
11	მუხიანი	მეფრინველეობის ფაბრიკის დასახლებაში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა	12 610,00	შპს "სანი" №221274546	**12 609,95**
12	მუხიანი	ყუბანეიშვილების უბანში გარე განათების მოწყობა	6 790,00	შპს „მიკო ბილდინგი“ №412746710	**7710,60**
13	უკანეთი	გვანცელაძეების უბანში გარე განათების მოწყობა	11 640,00	შპს „მიკო ბილდინგი“ №412746710	**11 220,60**
14	ქვედა მესხეთი	არსებული სკვერის კეთილმოწყობა	15 520,00	შპს "სანი" №221274546	**15 515,10**
15	გუმათი	გარე განათების მოწყობა	15 520,00	შპს „მიკო ბილდინგი“ №412746710	**15 520,00**
16	ნამოხვანი	გარე განათების მოწყობა	4 850,00	შპს „მიკო ბილდინგი“ №412746710	**4 850,00**
17	ოფშკვითი	გარე განათების მოწყობა	19 400,00	შპს „მიკო ბილდინგი“ №412746710	**18 898,74**
18	პატრიკეთი	საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა	19 400,00	ი/მ „კირილე ჯახუა“ №29001003108	**19 362,04**
		ეკლესიის შემოღობვა			

19	ტყაჩირი	და მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა	19 400,00	ი/მ „კირილე ჯახუა“ №29001003108	**19 393,82**
20	საყულია	სოფლის ცენტრში ფანჩატურის მოწყობა	9 700,00	შპს "სანი" №221274546	**9 700,00**
21	საყულია	სვანების დასახლებაში არსებული ამბულატორიის რეაბილიტაცია	9 700,00	შპს "სანი" №221274546	**9 699,99**
22	ფარცხანაყანევი	ფარცხანაყანევის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზოს კეთილმოწყობა	19 400,00	შპს "სანი" №221274546	**19 399,93**
23	ქვიტირი	გარე განათების ქსელის მოწყობა	19 400,00	შპს „მიკო ბილდინგი“ №412746710	**19 400,00**
24	ზედა მესხეთი	ყოფილი საბავშვო ბაღის ეზოში ატრაქციონების მოწყობა	19 400,00	შპს "სანი" №221274546	**19 390,49**
25	სოფელი წყალტუბო	ფანჩატურის მოწყობა გურშების უბანში	9 700,00	ი/მ "თამარი მამარდაშვილი №53001054292	**9 692,85**
26	სოფელი წყალტუბო	ადმინისტრაციული ერთეულის შენობასთან არსებული სტადიონის რეაბილიტაცია	9 700,00	ი/მ "თამარი მამარდაშვილი №53001054292	**9 619,54**
27	გუბისწყალი, ჭაშლეთი, ლეხინდრის თავი, საჩხეური	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საჭირო მზა ბეტონის შესყიდვა	46 000,00	შპს „მიმდემი“ №412679061	**45 998,79**
28	ზედა ონჭეიში, ქვედა ონჭეიში, მექვენა, ქვილიშორი, ჩუნეში, ოფურჩხეთი, ნამოხვანი, ჟონეთი, ჯიმასტარო	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საჭირო მზა ბეტონის შესყიდვა	107 000,00	შპს „მიმდემი“ №412679061	**106 997,08**
29	ბანოჯა, ხომული, ცხუნკური,ზედა ჩუნეში, რიონი, მეჩხერი,	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში ინფრასტრუქტურული პროექტების	123 000,00	შპს „მიმდემი“	**122 877,96**

	ზარათი, ნოდა, სორმონი, ჭოლევი	განსახორციელებლად საჭირო მშა ბეტონის შესყიდვა		№412679061	
30	გუმბრა, მუხიანი, ვანისჭალა	სოფელ გუმბრაში და მუხიანში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საჭირო სამშენებლო მასალების, ასევე სოფელ ვანისჭალაში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციისთვის საჭირო მასალების შესყიდვა თანმდევი ტრანსპორტირების მომსახურებით	34 000,00	ი/მ „ბეჟანი ყურაშვილი“ №53001009993	**34 000,00**
31	ცხუნკური, ყუმისთავი, ჩუნეში	სოფელ ცხუნკურში და ყუმისთავში ფანჩატურის მოსაწყობად, ასევე სოფელ ყუმისთავში სასფლაოს შემოსაღობად სამშენებლო მასალების და სოფელ გაღმა ჩუნეშში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციისთვის საჭირო მასალების შესყიდვა თანმდევი ტრანსპორტირების მომსახურებით	28 000,00	ი/მ "თამარი მამარდაშვილი №53001054292	**28 000,00**
32	გვიშტიბი	სოფელი გვიშტიბისთვის, სამშენებლო მასალების შესყიდვა თანმდევი ტრანსპორტირების მომსახურებით	20 000,00	შპს "სანი" №221274546	**20 000,00**
33	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლები	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში განსახორციელებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება	10 380,00	შპს „ვაზნარი“ №421272107	**10 380,00**

<u>გ) „ურბანული წარმოსახვის პროგრამის“ ფარგლებში მოპოვებული საერთაშორისო ორგანიზაციის გრანტის ფარგლებში 2023 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტი (გრანტით გამოყოფილი თანხა - 107 730.00 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსების წილი - 46 628.80 ლარი):</u>

№	პროექტის (იდეის) დასახელება	შემსრულებელი ორგანიზაცია (მიმწოდებელი)	სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი)	პროექტის მიმდინარეობის აღწერა
1	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნეშში, ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის ეზოში ამფითეტრისა და საპირფარეშოს დარჩენილი ნაწილის რეაბილიტაცია-მოწყობის სამუშაოები	შპს "სანი" №221274546	**154 358,80**	დაიწყო - 2023 წელს, სამუშაოები დასრულებულია საკასოთი - 2024 წელს.
	სულ ჯამი		**154 358 , 80**	

<u>დ) მაღალმთიანი დასახლებების განვითარების პროექტები.</u>

„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 თებერვლის №301 განკარგულებით დამტკიცებული იქნა 2023 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტი (ცხრილის 1-ლი პოზიცია), ხოლო ზემოაღნიშნულ განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 ნოემბრის №2050 განკარგულებით დაემატა კიდევ ერთი მრავალწლიანი პროექტი, რომელიც განხორციელდება 2023-2024 წლების დაფინანსების ფარგლებში (ცხრილის მე-2 პოზიცია):

N	პროექტის დასახელება	შემსრულებული ორგანიზაცია (მიმწოდებელი)	2023 წლის სახელშეკრულებო ღირებულება	რეგ. ფონდის წილი	პროექტის მიმდინარეობის აღწერა
1	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ დერჩისა და დღნორისაში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	შპს „ტროპოს“ №412747087	736 000,00	700 000,00	დასრულებულია საკასოთი (**შენიშვნა:** დაკავებულია საგარანტიო თანხა 2.5%)
2	2023-2024 წლების დაფინანსების ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლეხინდრისთავისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეყერეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	შპს „ჯეო როუდ ინვესტი“ №412716226	1 996 775,00	500 000,00	**პროექტი არის მრავალწლიანი.** დაიწყო - 2023 წელს, სამუშაოები მიმდინარეობს და დასრულდება საკასოთი - 2024 წელს. 2023 წლის დაფინანსების ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტის წილი - 500 000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის წილი - 26 316 ლარი.

<u>ე) სკოლების რემონტის/რეაბილიტაციის პროექტები.</u>

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 ოქტომბრის №1993 განკარგულებით დამტკიცებული იქნა 2022 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი

სკოლების რემონტის/რეაბილიტაციის პროექტები, რომელთა განხორციელების ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომია მიემართა შემდეგი პროექტისთვის:

N	სკოლის სახელწოდება	პროექტით გათვალისწინებული ჩასატარებელი სამუშაოების აღწერა	შემსრულებელი ორგანიზაცია (მიმწოდებელი)	სახელშეკრულებო ღირებულება	პროექტის მიმდინარეობის აღწერა
1	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიონის სერგეი მესხის სახელობის საჯარო სკოლა	საკლასო ოთახის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები	ინდ. მეწარმე შალვა ბენიძე	**3 747,65**	დასრულებულია 19.12.2023
	სულ ჯამი			**3 747 , 65**	

ვ) საჯარო სკოლების მოსწავლეების გადაყვანის (სატრანსპორტო მომსახურების) უზრუნველყოფის პროექტი.

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის №147 განკარგულებით დამტკიცებული იქნა 2023 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების მოსწავლეების გადაყვანის (სატრანსპორტო მომსახურების) უზრუნველყოფის პროექტი, ღირებულებით სულ - **417717.66** ლარი (**CON220000642** კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად დადებულია 2023 წლის 16 იანვრის №12 ხელშეკრულება, მიმწოდებელი - შპს „ნიში“).

ზ) ადგილობრივი ინფრასტრუქტურული პროექტები.

2023 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები (მათ შორის 5 პროექტზე მიმდინარეობს დასრულების სამუშაოები, ხოლო 2 პროექტი არის მრავალწლიანი და ხორციელდება 2023-2024 წლების დაფინანსების ფარგლებში):

	პროექტების დასახელება	შემსრულებელი ორგანიზაცია (მიმწოდებელი)	სახელშეკრულებო ღირებულება	პროექტის მიმდინარეობის აღწერა	ადგილობრივი დასაქმებული
1	ქალაქ წყალტუბოში, №24-ე საბავშვო ბაღის ეზოსა და სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები	შპს "მიკო ბილდინგი"	144477.00	დასრულებულია	7
2	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის სამუშაოები	შპს "ასა მოტორსი"	361194.97	დასრულებულია	6
	სტიქიური მოვლენების შედეგების				

3	ლიკვიდაციის მიზნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დაკავშირებული სამუშაოები	შპს "ჯ და ჯ"	20000.00	დასრულებულია	3
4	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში სპორტული დარბაზის შემოღობვის და ჭიშკრის მოწყობის სამუშაოები	ი/მ "თორნიკე მერანიშვილი"	19582.65	დასრულებულია	
5	ქალაქ წყალტუბოში, ცენტრალურის სტადიონის ტერიტორიაზე არსებული შენობის (გასახდელი) სარეაბილიტაციო სამუშაოები	შპს "გოლდ ენდ ბრო"	249981.56	დასრულებულია	3
6	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შემავალი შიდა საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის შენახვის სამუშაოები	შპს "ჯ და ჯ"	350000.00	დასრულებულია	18
7	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში, სათაფლიის მღვიმესთან მისასვლელ გზაზე არსებული გარე განათების ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები	შპს "მარდი"	62215.42	დასრულებულია	2
8	ქალაქ წყალტუბოს შემოსასვლელში (გ. ტაბიძის ქუჩის დასაწყისი, უსაფრთხოების კუნძული), 20 მეტრიანი გალვანიზირებული სადროშე ბოძის სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვა დროშასთან ერთად	შპს "ემსილაით"	19900.00	დასრულებულია	2
9	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში და სოფელ პატრიკეთში სოციალურად დაუცველი ორი ოჯახისათვის კერძო ტიპიური საცხოვრებელი სახლების სამშენებლო სამუშაოები	შპს "მიკო ბილდინგი"	95959.99	დასრულებულია	14
10	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფურჩხერთში საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე არსებული შენობის (საპირფარეშო)	ი/მ "ზაურ ჯაბუა"	4868.90	დასრულებულია	2

	სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები				
11	ქალაქ წყალტუბოში N4 საბავშვო ბაღის და ინკლუზიური ცენტრის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები	შპს "მიკო ბილდინგი"	153313.00	დასრულებულია	8
12	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში (ჭელიძეების უბანში) წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოებისა და სოფელ ცხუნკურში არსებული სასმელი წყლის კაპტაჟების და ქსელის რეაბილიტაცია მოწყობის სამუშაოები	შპს "გაზმშენი XXI"	175040.79	დასრულებულია	8
13	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელი თერნალი მე-19 და მე-20 ქუჩებზე, სოფელი ბანოჯაში, სოფელ გუმათში, სოფელ ტყაჩირში სინაურიძეების უბანში და სოფელ წყალტუბო 22-ე ქუჩაზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, აგრეთვე სოფელი წყალტუბოში მე-6 და ზედა მესხეთში მე-18 ქუჩებზე გზების რეაბილიტაცია ცხელი ასფალტო-ბეტონის საფარით	შპს "მიმდემი"	892156.00	დასრულებულია	20
14	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნეშის გადასახვევიდან ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის საჯარო სკოლამდე გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები	შპს "ენდისი"	10652.94	დასრულებულია	
15	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში, მე-6 ქუჩაზე მდებარე დაზიანებული ხიდ-ბოგირის აღდგენისათვის საჭირო სარეაბილიტაციო სამუშაოები	შპს "როსტვერკი"	60000.00	დასრულებულია	6
16	ქალაქ წყალტუბოში, გოგებაშვილისა და ფალიაშვილის ქუჩების კვეთაზე, სარაჯიშვილისა და კოსტავას ქუჩების კვეთაზე და დედა-ენის მე-4 შესახვევში სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის	შპს "ენ-დი როუდი"	199110.34	დასრულებულია	7

	სამუშაოები				
17	ქალაქ წყალტუბოში N3 ბაგა ბაღის სრული რეაბილიტაციის სამუშაოები	ი/მ "რუბენ ლუტიძე"	429897.94	დასრულებულია	7
18	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყუმისთავში არსებულ სასმელი წყლის ქსელზე რეზერვუარის მოწყობის და ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოების, ასევე სოფელ ყუმისთავში (სვანიძეების უბანში) წყალშემკრები კაპტაჟის, წყალშემკრები ავზისა და წყალსადენის ქსელის მოწყობის სამუშაოები	შპს "ქუთაისწყალმშენი"	247736.08	დასრულებულია	12
19	ქალაქ წყალტუბოში, ნინოშვილის და კეცხოველის ქუჩებზე არსებული სპორტული მოედნების რეაბილიტაციის სამუშაოები	შპს "კა"	205553.21	დასრულებულია	
20	ქალაქ წყალტუბოში, „ცივი ტბა“-ს ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული საკანალიზაციო ქსელის გაწმენდა-მოწესრიგების მომსახურება	შპს „ეურო-ჰოუს-დეველოპმენტ“	9936.00	დასრულებულია	
21	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში და სოფელ ბანოჯაში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები	შპს "ენდისი"	35299.77	დასრულებულია	
22	სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში, მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების გათვალისწინებით, ქალაქ წყალტუბოში თბილისის ქუჩაზე, თამარ მეფის ქუჩაზე და დედა-ენის ქუჩაზე ლითონის კონსტრუქციის სამი ფანჩატურის სამშენებლო სამუშაოები	შპს "მიკო ბილდინგი"	113571.00	დასრულებულია	10
23	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათში და სოფელ ქვედა მესხეთში ბოლნისულას დასახლებაში ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოები	შპს "სსკ-7"	58888.00	მიმდინარეობს	3
	ქალაქ წყალტუბოში, ცენტრალურ პარკის				

24	ტერიტორიაზე მელიტონ ბალანჩივაძის მემორიალური ბიუსტისა და კვარცხლბეკის მოწყობის, ასევე მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები	ი/მ "ირაკლი ჟვანია"	79999.84	დასრულებულია	
25	ქალაქ წყალტუბოში, კეცხოველის ქუჩაზე სკვერისა და ღია ამფითეატრის მოწყობის, ასევე გოგებაშვილის ქუჩაზე სკვერის მოწყობის სამუშაოები	შპს "სანი"	215784.22	მიმდინარეობს	12
26	ქალაქ წყალტუბოში, ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე სასაფლაოზე გვერდითა შესასვლელში კიბისა და შესასვლელში ბეტონის ფილის მოწყობის სამუშაოები	შპს "ნოვა"	9013.00	დასრულებულია	2
27	ქალაქ წყალტუბოში, ე. ნინოშვილის I ჩიხში №5 საერთო საცხოვრებელი ბინის მოაჯირებისა და ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოები	შპს "ოგი"	54318.83	მიმდინარეობს	
28	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუნკურში სკვერის მოწყობის სამუშაოები	შპს "გეგუ"	99965.70	მიმდინარეობს	3
29	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ყოფილი დაწყებითი სკოლის ამჟამად სპორტული დარბაზის ჭერის შეკეთების სამუშაოები	ი/მ "ზურაბი მეშველიანი"	6726.87	დასრულებულია	
30	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში და წყალტუბო ქუთაისის დამაკავშირებელი გზის მონაკვეთზე სატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო ნომრის ამომცნობი ვიდეოკამერებისა და ზოგადი ხედვის კამერების შეძენა-მონტაჟი-ინსტალაცია.	შპს "დელტა კონსალტინგი"	183000.00	მიმდინარეობს	
31	2023-2024 წლების დაფინანსების ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში და სოფელ ხომულში	შპს "ქუთაისწყალმშენი"	369350.00	მიმდინარეობს	6

	სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოები				
	სულ ჯამი		**4 937 494 , 02**		

<u>თ) 2023 წელს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო პროექტები (მათ შორის 1 პროექტზე მიმდინარეობს სამუშაოები და პროექტი დასრულდება 2024 წლის გაზაფხულზე):</u>

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულებით, აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2023 წლის 7 აგვისტოს №1422 განკარგულებით და 2023 წლის 30 ნოემბრის №2133 განკარგულებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულებაში, რითაც საბოლოოდ დამტკიცებული იქნა 2023 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო პროექტები (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ჯამური თანხა - **3 250 000,00** ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება - **4 254,65** ლარი, სულ - **3 254 254,65** ლარი).

N	პროექტების დასახელება	შემსრულებული ორგანიზაცია	სახელშეკრულებო ღირებულება	პროექტის მიმდინარეობის აღწერა
1	2023 წლის 10-13 იანვარს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული კერძო საცხოვრებელი სახლებისა და მათი სახურავების შეკეთებისთვის საჭირო გადახურვის მასალების (გოფრირებული მოთუთუებული თუნუქი) შესყიდვა	შპს "ჯი არ სი" №205017578	142 500,00	დასრულებულია საკასოთი 142 500,00
2	2023 წლის 10-13 იანვარს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული კერძო საცხოვრებელი სახლების შეკეთებისთვის საჭირო სამშენებლო მასალების (ბლოკები) შესყიდვა	ი/მ "გიორგი ობგაიძე" №01019064119	12 350,00	დასრულებულია საკასოთი 12 350,00
3	2023 წლის 10-13 იანვარს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული კერძო საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციისთვის საჭირო ხის მასალის (კოჭი, ფიცარი) შესყიდვა	შპს "ქუთე" №421275952	42 500,00	დასრულებულია საკასოთი 42 500,00
4	2023 წლის 10-13 იანვარს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, კერძოდ ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩის №15, 9 აპრილის ქუჩის №13 და დედაენის ქუჩის მე-2 შესახვევში მდებარე №2 კორპუსების სახურავების რეაბილიტაციის	შპს "სსკ-7" №438736334	184 623.50	დასრულებულია საკასოთი 174 536.67 ლარი (დაკავებულია საგარანტიო თანხა 2.5%)

	სამუშაოები			
5	2023 წლის 10-13 იანვარს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, კერძოდ ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩის №1, ფალიაშვილის ქუჩის №2, კოლხეთის ქუჩის №17, ასევე გოგებაშვილის ქუჩის №2 და №2ა კორპუსების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები	შპს "ნოვე 2024" №412773119	261 171.52	დასრულებულია საკასოთი 261 171.52 ლარი (დაკავებულია საგარანტიო თანხა 2.5%)
6	2023 წლის 10-13 იანვარს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, კერძოდ ქალაქ წყალტუბოში, ტაბიძის ქუჩის №7, შანიძის ქუჩის №4ა, დედა-ენის ქუჩის №7, დედა-ენის ქუჩის 1-ელ ჩიხში №2 და №4, ჭავჭავაძის ქუჩის №8ა, ბესიკის ქუჩის №11, თამარ მეფის ქუჩის №1 და №3 კორპუსების, სოფელ მაღლაკში მე-2 ქუჩაზე მდებარე №15 და სვანების დასახლებაში (იმერეთის საყრდენი პუნქტი) მდებარე ბინების, სოფელ ფარცხანაყანევში (კოპიტნარის დასახლება) №1, №3, №10 და №12 კორპუსების, სოფელ მუხიანი (მეფრინველეობის დასახლება) №1, №2 და №3 ბინების, აგრეთვე სოფლებში მესხეთის №9, პატრიკეთის №12, ოფშკვითის №14, ახალი საყულიის №16, რიონის №19 საბავშვო ბაღებისა და სოფელ ოფშკვითის სოფლის კლუბის სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები	შპს "სანი" №221274546	437 602.93	დასრულებულია საკასოთი 437 602.93 ლარი (დაკავებულია საგარანტიო თანხა 2.5%)
7	2023 წლის 10-13 იანვარს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, კერძოდ ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩის №7 და №9, თამარ მეფის ქუჩის №9, №11 და №18 კორპუსების, ასევე თამარ მეფის ქუჩის №19 კორპუსის II სადარბაზოს სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები	ი/მ "კირილე ჯახუა" №29001003108	313 560.93	დასრულებულია საკასოთი 303 626.88 ლარი (დაკავებულია საგარანტიო თანხა 2.5%)
8	2023 წლის 10-13 იანვარს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, კერძოდ ქალაქ წყალტუბოში, ბესიკის ქუჩის №1, №5, №7, №9, №13 და №15, ჭავჭავაძის ქუჩის №9 და დედა-ენის №5 კორპუსების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები	შპს "მიკო ბილდინგი" №412746710	199 225.53	დასრულებულია საკასოთი 199 225.53 ლარი (დაკავებულია საგარანტიო თანხა 2.5%)
	2023 წლის 10-13 იანვარს			

9	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, კერძოდ ქალაქ წყალტუბოში, თაყაიშვილის №5, დედა-ენის ქუჩის №20, 9 აპრილის ქუჩის 1-ელ ჩიხში მდებარე №1 კორპუსებისა და №4 საბავშვო ბაღის სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები	შპს "მიკო ბილდინგი" №412746710	198 306.85	დასრულებულია საკასოთი 198 306.85 ლარი (დაკავებულია საგარანტიო თანხა 2.5%)
10	2023 წლის 10-13 იანვარს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, კერძოდ ქალაქ წყალტუბოში, თბილისის ქუჩის №1, დედა-ენის ქუჩის №11 და სოფელ გეგუთში (ვარციხჰესის დასახლებაში) მდებარე №3 და №4 კორპუსების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები	შპს "7+" №212919136	92 602.32	დასრულებულია საკასოთი 90 921.12 ლარი (დაკავებულია საგარანტიო თანხა 2.5%)
11	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მექვენის, ოფურჩხეთის, დღნორისისა და ცხუნკურის ადმინისტრაციულ ერთეულებში 2023 წლის 13-14 მაისს მომხდარი სტიქიის (ძლიერი წვიმა) შედეგად დაზიანებული შიდა საავტომობილო გზების, სანიაღვრე არხების შეკეთებისა და გაწმენდითი სამუშაოების, ასევე ოთხი დაზიანებული ხიდბოგირის აღდგენითი სამუშაოები	შპს "ასა მოტორსი" №412743731	339 998.22	დასრულებულია საკასოთი 330 080.63 ლარი (დაკავებულია საგარანტიო თანხა 2.5%)
12	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების, კერძოდ მექვენის, დღნორისა-საჩხეურისა და ლეხინდრისთავის დამაკავშირებელი, მდინარე ლაიშაზე არსებული 2023 წლის 27 ივნისს მომხდარი სტიქიის (ძლიერი წვიმა და ღვარცოფი) შედეგად დაზიანებული ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები	შპს "როსტვერკი" №421268050	444 812.86	დასრულებულია საკასოთი 427 958.93 ლარი (დაკავებულია საგარანტიო თანხა 2.5%)
13	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში, მდინარე ოღასკურას კალაპოტის დაღრმავებისა და გაფართოების, ასევე 2023 წლის 16-17 ივლისს მომხდარი სტიქიის შედეგად (ძლიერი წვიმა და ღვარცოფი) დაზიანებული, მდინარე ოღასკურაზე არსებული სამი ხიდ-ბოგირის სარეაბილიტაციო სამუშაოები	შპს "როსტვერკი" №421268050	584 999.99	სამუშაოები მიმდინარეობს და დასრულდება საკასოთი 2024 წელს
	სულ		**3 254 254 . 65**	

2023 წლის განმავლობაში მიმწოდებლებთან დადგენილი წესით დადებული ყველა სახის **268** სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების საერთო (ჯამურმა) ღირებულებამ

შეადგინა **28 287 136.37** ლარი, მათ შორის: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში (მათ შორის ორეტაპიან ელექტრონულ ტენდერშიც) გამარჯვებულ მიმწოდებლებთან 2023 წლის განმავლობაში დადებული 97 ხელშეკრულების საერთო (ჯამური) ღირებულებაა - **21 570 332.36** ლარი, კონსოლიდირებული ტენდერების შედეგად დადებული 30 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა - **2 446 506.64** ლარი, კონკურსის შედეგად დადებული 1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა - **4 000.00** ლარი და გამარტივებული შესყიდვების საშუალებით დადებული 140 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა - **4 266 297.37** ლარი (იხ. დანართი - 2023 წელს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების „Excel"-ის ცხრილი).

2023 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით სულ გამოცხადებულია **125** ელექტრონული შესყიდვის პროცედურა, მათ შორის **122** ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT), **1** - კონკურსი (CNT) და **2** - ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერი (MEP). **აღსანიშნავია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეთა რაოდენობა უმეტესწილად შეადგენს 2 ან 3 პრეტენდენტს, რაც კონკურენტული გარემოს მაჩვენებელია.**

2023 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის მიერ სულ განხილულია **375** საკითხი, **125** ელექტრონულ შესყიდვაზე განხორციელებულია შესაბამისი პროცედურები (სატენდერო/საკონკურსო პირობების შედგენა/დამტკიცება, ტენდერის/კონკურსის გამოცხადება, შერჩევა - შეფასება, გამარჯვებულის გამოვლენა, ხელშეკრულების დასადებად მოწვევა და სხვა), ამავე პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულია სათანადო დოკუმენტაცია (ჯამში ათასობით ნაბეჭდი ფურცლის დასკანერებული და დაფორმატებული (pdf/xlsx)) ასლები: ხელწერილები ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, ბაზრის კვლევის ამსახველი დოკუმენტები, ხელშეკრულებები და მათი შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები (მიღება-ჩაბარების აქტები, შესრულებული სამუშაოების აქტები, საექსპერტო/აუდიტორული დასკვნები, ინსპექტირების ანგარიშები, ფაქტობრივი გადახდების დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა).

2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, ყოველი შესყიდვის პროცედურის დაწყებამდე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები შესყიდვის კონკრეტული ობიექტების მახასიათებლების, სავარაუდო ღირებულების, შესყიდვის განხორციელების საშუალების და დაფინანსების მოცულობის დაზუსტების, ბაზრის კვლევის, პოტენციური მომწოდებლების მოძიების, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ შემუშავებული იქნა სატენდერო დოკუმენტაციის სტანდარტული სარეკომენდაციო პროექტები, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სრულად ხელმძღვანელობს აღნიშნული რეკომენდაციებით, აგრეთვე, კონკრეტული ტენდერის/კონკურსის გამოცხადებამდე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შეთანხმებისათვის წინასწარ ეგზავნება თითოეული ელექტრონული შესყიდვის სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაცია, მათ შორის - ტექნიკური მოთხოვნები და ხელშეკრულების პროექტი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 იანვრის №3 დადგენილებით ცვლილება შევიდა „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №32 დადგენილებაში და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯებში გაიწერა 2023 წლიდან გარდამავალი ვალდებულებები, რომელთა შესაბამისი შესყიდვები ან/და თანხის ანაზღაურება განხორციელდება 2024 წელს. აღნიშნულის საფუძველზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში განხორციელდა შესაბამისი კორექტირება.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული ყველა შესყიდვა განხორციელებულია დადგენილი წესების, პროცედურებისა და ვადების დაცვით, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი შემდეგი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებები და განკარგულებები, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბერის №7 ბრძანებით დამტკიცებული „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესი“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები და მეთოდური მითითებები, აგრეთვე სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტები (სახელმწიფო შესყიდვების წესებსა და პროცედურებს არეგულირებს 30-ზე მეტი სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, ასევე სხვადასხვა მეთოდური მითითებები).

დანართი: 2023 წელს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების **„Excel“-ის** ცხრილი.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge